უცხოელი სტუდენტები საქართველოში და მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებები

ლიანა გოგოლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ლიანა გოგოლიძე

24.06.2021

აბსტრაქტი

სტუდენტური ასაკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. გვიანი მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლა, რომელისთვისაც დამახასიათებელია დამოუკიდებლობისა და იდენტობის განმტკიცებისაკენ სწრაფვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ცვლილებებთან ადაპტაცია, ინტერპერსონალური ურთიერთობების, კავშირების დაბალანსება და მომწიფებული ინტიმური ურთერთობის ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია, რომ ეს გარდამავალი პერიოდი დაკავშირებულია იმ სენსიტიურ ასაკთან (18-25 წელი), როდესაც ემოციური სირთულეები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ხშირია. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლინება პიკს სწორედ ადრეული ზრდასრულობის პერიოდში აღწევს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, როგორც მსოფლიოს ასევე საქართველოს მასშტაბით. მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უმაღლესი განათლების მიღება, უნივერსალურ გამოცდილებასთან ერთად ბევრ სირთულესთანაც ასოცირდება.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს უცხოელი სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებისა და მათი დახმარების ძიების ქცევის შესწავლა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოელ სტუდენტებში მაღალია დეპრესიის (48.9%), შფოთვითი აშლილობის (49%), პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (35.3%) და ადაპტაციის დარღვევების (30.45%) მაჩვენებელი. გამოიკვეთა მაღალი ასოციაცია სტუდენტური სტრესის, COVID-19 პანდემიით გამოწვეული სტრესის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემათა გაზრდილ მაჩვენებელს შორის.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა რომ სტუდენტთა 46% დახმარებისათვის არავის არ მიმართავს, ხოლო ყველაზე ხშირად დასახელებული დახმარების მიღების წყაროს მშობელი, მეგობარი და პარტნიორი წამოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უცხოელი სტუდენტები; სტუდენტები და ფსიქიკური ჯანმრთელობა; შფოთვა და დეპრესია; პოსტტრავმული სტრესული აშლილობა; სტუდენტური სტრესი; დახმარების ძიების ქცევა; COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სტრესი.

Abstract

University years are one of the most important periods in a person's life. The transition from late adolescence to adulthood is characterized by achieving independence and the pursuit of an identity, making important decisions, adjusting to changes, balancing interpersonal relationships and connections, and developing mature intimacy.

More importantly, this transitional period is related to a sensitive age (18-25) when emotional problems and mental health disorders commonly occur. The peak period of vulnerability to mental health problems is indeed during young adulthood.

During recent years the number of international students has increased all over the world, including Georgia. Being an international student can open doors for a lot of opportunities and universal experience, but it's also can be associated with many difficulties.

The overall aim of this study is to assess the mental health needs of international students and their help seeing behavior.

The quantitative data obtained during the study showed the high risk of common mental health disorders as severe depression (48.9%), anxiety (49%), post-traumatic stress disorder (35.3%) and adjustment disorder (30.45%). The study results also showed that college students' stress and stressors, related to the COVID-19 pandemic had a significant impact on the students' mental health and well-being.

The most commonly indicated source of support by international students are: parents, friends and partners. But it's also notable that despite experiencing difficulties, 46% of students were not willing to seek help from anyone.

Key words: International students' mental health; College students' mental health; International students and adjustment disorder; College students depression and anxiety; PTSD; help seeking behavior; Students' stress; COVID-19 pandemic related stressors.